2.10.2018

1445/109-42

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკი" (ს/ნ 204854595) როგორც იპოთეკარი თანახმაა, რომ მესაკუთრემ შპს „ბრიქსი ვარკეთილი"(ს/ნ 406163743) მოახდინოს მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი (01.19.36.012.032) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირება, ისე რომ სს "თიბისი ბანკი"-ს იპოთეკა სრულად და უცვლელად გავრცელდეს, კორექტირების შედეგად მიღებულ ფართზე.

სს "თიბისი ბანკი"

წარმომადგენელი

გიორგი შიხაშვილი

/_____/

საქართველო, 0102 თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. #7

7 Marjanishvili Str.
0102 Tbilisi, Georgia

ტ/T: (+995 32) 227 27 27
ფ/F: (+995 32) 277 27 74

www.tbcbank.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

36146079805718

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180001327

რეგისტრაციის თარიღი

03.01.2018 წ

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა
მისამართი: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7.
ტელეფონი: 593373834

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათასთვრამეტი წლის სამ იანვარს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის №7, მომმართა **სს „თიბისი ბანკის"** (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან **სს „თიბისი ბანკის"** შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17129749, 27/11/2017 18:06:08) გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ **პაატა ღაძაძემ,** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **პაატა ღაძაძემ** (დაბ. 24.10.1970 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №78, კორ. №3, ბ. №10, პ/ნ №01023000307, ბარათის № 16IA73661,გაც.იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.02.2017) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

ორიათასთვრამეტი წლის სამ იანვარს **სს „თიბისი ბანკის"** (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან **სს „თიბისი ბანკის"** შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17129749, 27/11/2017 18:06:08) გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ **პაატა ღაძაძემ** (დაბ. 24.10.1970 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №78, კორ. №3, ბ. №10, პ/ნ №01023000307, ბარათის № 16IA73661,გაც.იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.02.2017) **გიორგი შიხაშვილს** (პ/ნ №31001017431), შემდეგში "რწმუნებულს" წინამდებარე მინდობილობით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

1. **გიორგი შიხაშვილი** უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, გირავნობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, თავდებობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, ოვერდრაფტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, აკრედიტივის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს რომელთა დადებაც აუცილებელი იქნება აღნიშნული დავალების შესასრულებლად, აგრეთვე სს "თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს კლიენტისათვის გასაგზავნ და კლიენტთან დაკავშირებით მესამე პირებისათვის გასაგზავნ ნებისმიერი სახის წერილებს/შეტყობინებებს;
2. ამ მინდობილობით **გიორგი შიხაშვილს** ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს „თიბისი ბანკის" ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში;
3. ეს მინდობილობა ძალაშია ორიათასთვრამეტი წლის სამი იანვრიდან ორიათასთვრამეტი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.
4. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.

პაატა ღაძაძე:

საზღაური: 10.00 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად) და (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად) დღგ: 1.80 ლარი, სულ: 11.80 ლარი. რეგისტრაციის საფასური: 200 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

საქართველო * ნოტარიუსი მედეა გვაზავა * GEORGIA. NOTARY MEDEA GVAZAVA * 01008018186 *